„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული [illegible] გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. [illegible] სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ ხელნაწერებს მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

მიიღება ნახევარ-წლით ხელის-მოწერა გაზეთის

„დროებაზე“

ივლისის პირველიდამ წლის დამლევამდე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

ოთხი მანათი

## თბილისის გარემონი

თბილისი, ივლისის 10-ს.

რა განსხვავებაა თბილისისა და სამზღვარ-გარეთულ ქალაქებ შორის, რომელთაც ამ გვარივე მდგომარეობა აქვთ? განსხვავება დიდია როგორც თვალისათვის, ისე ჰავისათვის. თბილისს გარშემო მოტიტვლებულ მთა-გორა-კლდეები აკრავს და სამზღვარ-გარეთულ ქალაქებს კი ან მშვენიერი ფიჭვის ტყეები, თუ ჩრდილოეთით მდებარებენ, ან ტერასებით გაშენებული ვენახები. კაცი ამ ვენახებზედ სამოს ვერასა ნახავს! თვალ-აუწვდენელი კიბე მისდევს თვით ქალაქიდამ მთის წვერამდე და ყოველ ათს ან ოცს საფეხურზედ გვერდით კლდეც ტახტსავით ჩამოჭრილია და მათზედ დასაყრელი მიწა დაბლობიდამ ამოზიდული. რა შრომას არა კისრულობს იქაური მემამულე, რომ ეს ხრიოკი კლდეები გაანაყოფიეროს და მათზედ ახაროს ის ბუჩქი, რომელიც შემოდგომაზედ მზეზედ დაბრაწული მტევნებით ასიამოვნებს კაცის გულსაცა და თვალსაც

თუმცა ამ გვარად გაშენებულს ვენახებს დიდი შრომა და ხარჯი უნდა, მაგრამ მათი ნაყოფიც ამ შრომისა და ხარჯის კვალობაზედ გემრიელი გამოდის და პატრონსაც შესაფერს სარგებლობას აძლევს. ამას გარდა ვინც კი ამ გვარად ქალაქის გამშვენიერებასა და მისის ჰავის გაუმჯობესობას იკისრებს, ის ღირსია წაქეზებისა, წახალისებისა და ქალაქმა მას რომ ხელი შეუწყოს და ხარჯში მიუდგეს, ამისათვის ქალაქის მოთავეთ ვერავინ ვერ გაჰკიცხავს.

აქამდის არაკად მოისმენდა ყველა, ვისაც კი ამ საგანზედ ეტყოდი რასმე, მაგრამ ეხლა, როცა ჩვენს ქალაქს მალე წყლის გაყვანა უნდა წილადა ჰხვდეს, ამ საგანზედ ლაპარაკიც შეიძლება და შეიძლება სიტყვა საქმედაც იქცეს. ვაზს იმდენი წყალი არ დასჭირდება, რაც სხვა ხე-ხილს ან ბოსტნეულობას სჭირდება და წვიმიანს წელიწადში იქნება სულაც არ მოუნდეს, ასე რომ თუ ვინმე იკისრა ეს საქმე, მას წყალზედ დიდი ხარჯი არა მოუვა-რა. მაგრამ დასამალავი არ არის, რომ კლდეებზედ ტერასების გაკეთება და მათზედ მიწის დაყრა ისეთს ხარჯს მოითხოვს, რომ, ვგონებთ, პირველად ვერც კი ვინმე გაბედოს ამ საქმის შებრძოლება; მაგრამ, როგორც წეღანა ვთქვით, ქალაქის ვალია ხელი შეუწყოს ამისთანა გამბედავს პირს და მატერიალური შემწეობაც არ დაჰზოგოს იმისათვის, ვინც კი ამ გზით მოიწადინებს ქალაქის გამშვენიერებას და მისის ჰაერის გაუმჯობესობას.

მკითხველი გუშინდელი ჩვენი შენიშვნიდამ შეიტყობდა, რომ ერთს ვისმეს ბ. მილოვს განზრახვა აქვს მთაწმინდის კალთები იმ გვარივე ვენახებით მორთოს, როგორც რეინის ნაპირებზედ მდებარე ქალაქები არიანო. ამ სასიამოვნო ამბავს იმის მეტს ვერას დავურთობთ, რომ ღმერთმა ჰქნას იგი მართალი გამოდგეს, მილოვის მაგალითმა სხვებიც წააქეზოს და მთაწმინდისა და სოლოლაკის კალთები ვაზის ფოთლებით შეიმოსოს.

## შინაური ქრონიკა

*** ჩვენს მკითხველებს უკვე შეტყობილი აქვსთ, რომ თავადი ივანე ბაგრატიონ-მუხრანბატონი უმაღლესის მთავრობისგან ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის წინამძღოლად დამტკიცებული იქმნა. ეხლა გვატყობინებენ, რომ ხსენებულმა თავადმა მუხრანბატონმა გუშინ ფიცი მიიღო და დღეიდგან-კი თანამდებობის აღსრულებას შეუდგებაო.

*** ყველას შეტყობილი ექნება, რომ ახალის დებულების ძალით მომრიგებელ-მოსამართლესთან თხოვნის შეტანისათვის მოჩივარმა რაოდენიმე ხარჯი უნდა გადაიხადოს. როგორც ეხლა გვატყობინებენ, ზოგიერთნი მომრიგებელნი-მოსამართლენი უბრალო კითხვაზედ პასუხის მიცემისათვისაც-კი ფულს ართმევენო. ამ რიგად მოქმედება მომრიგებელ-მოსამართლის მხრით ცხადი შეცდომილება და კანონის გაუგებლობა არის, რადგან ახალ კანონის აზრით მხოლოდ წერილობითი თხოვნისათვის უნდა გადახდეს მთხოვნელს ფული, ამიტომაც ამ გადასახადს ჰქვიან ფურცლის გადასახადი (**листовой сборъ**). იმედი გვაქვს, რომ ოლქის სამსჯავროები ყურადღებას მიაქცევენ ზოგიერთ მომრიგებელ-მოსამართლეების ამისთანა შემცდარ პრაქტიკას და მოახდენენ ჯეროვან განკარგულებას, რომ ეს შეცდომილება გასწორდეს.

*** უკვე დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა ბ. ზ. ქართველიშვილისაგან გამოცემული ფრიად შესანიშნავი წიგნი «ვახუშტის ისტორია» დიმ. ბაქრაძის შენიშვნებით. წიგნი არის საკმაოდ დიდი, შენიშვნებიც ბლომად და მასთან ჩვენებით თუ საიდგან არიან მოტანილნი. ამ წიგნს ბოლოში ბატ. წილოსანისაგან დახატული და ბატ. ტატიშვილისაგან ამოჭრილი სინიდისიანად აღსრულებული, საქართველოს

---

## რათა ვარ უცოლო?

მოთხრობა გიუ-დე-მოპასანისა

სასტუმრო ოთახი ძალიან მიმყუდროებული იყო. ფანჯრებს მძიმე ფარდები ეფარა. ჰაერში სასიამოვნო სუნი ტრიალებდა; განიერ და დიდ ბუხარში ცეცხლი ენთო; ლამპა, რომელიც მოშორებით იდგა, გარეშემო საგნებს სინათლესა ჰფენდა; აბაჟურით დასუსტებული მისი სინათლე სახეზე სცემდა მობაასეებს, რომელნიც ბუხართან ისხდენ.

ესენი ორნი იყვნენ. ერთი სახლის პატრონი ჭაღარა-მორეული მოხუცი ქალი, ერთი იმ დედაკაცთაგანი, რომელთაც სიბერე არა თუ არაფერს ართმევს, არამედ იმათ სახეს რაღაც მიმზიდველობის ძალას აძლევს.

მეორე ძველი ოჯახის მეგობარი იყო. იგი სამუდამოდ უცოლოდ დარჩენილიყო. ყოველთვის ნახავდით ამ ბუხართან და ყველანი სთვლიდენ მას მტკიცე მეგობრად.

ორივე მოლაპარაკე გაჩუმდენ რაოდენიმე ხანი და ორნივ უყურებდენ ცეცხლს, სხვა-და-სხვა ფიქრებში გართულნი. ეს მხოლოდ ძალიან ახლო ნაცნობებს შორის მოხდება ხოლმე. ისინი არ არიან ვალდებულნი მუდამ იბაასონ; იმათ შორის ხანდისხან სიჩუმეც სასიამოვნოა. ამ დროს ბუხრიდგან გადმოვარდა მსხვილი და როკიანი მუგუზალი, დაეცა ხალიჩაზე და გაჰყარა ნაპერწკლები. მოხუცმა ქალმა დაიყვირა და წამოხტა გასაქცევად, მაგრამ იმისმა მობაასემ მოჰკიდა ხელი გადმოვარდნილ მუგუზალს, ბუხარში შეაგდო და სცდილობდა ნაპერწკლებიც გაექრო.

როცა დალაგდენ და ოთახში მხოლოდ ტრუსის სული-ღა დარჩა, ოჯახის მეგობარი დაჯდა თავის ალაგას, შეხედა მასპინძელს ღიმილით და სთქვა:

— იცით, რომ მე ცოლი ამისთანა შემთხვევის გამო არ შევირთე! და ხელი გაიშვირა გადმოვარდნილ მუგუზლისაკენ.

მოხუცმა შეხედა იმას გაკვირვებით და ცნობის—მოყვარეობით ჰკითხა:

— ეგ როგორ მოხდა? მე მაგაზე ჩემს დღეში არაფერი გამიგონია.

— პიდეც ეგ არის! უპასუხა მეორემ.—მე მაგაზედ ლაპარაკი არა მიყვარს: სამწუხარო მოთხრობაა!

და მან უამბო შემდეგი:

— ჩემს ნაცნობებს, უნდა გითხრათ, ძალიან უკვირდათ, რომ მე და ერთი ჩემი მეგობარი, რომელიც ჩემთან ყველაზე დაახლოვებული იყო და რომელსაც ჟულიენს ვუძახდი, ერთმანეთს დავშორდით; ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ორი ამისთანა დაახლოვებული და განუშორებელი მეგობრები ასე მალე გაიყრებოდენ.

ჯერ ისე ვიყავით დაახლოვებულნი და ჩვენი მეგობრობა ისეთი მტკიცე კავშირი გვეგონა, რომ ვერ წარმოგვედგინა თუ ქვეყანაზე რამე გაგვყრიდა.

ერთ მშვენიერ საღამოს მოვიდა ის შინ და გამომიცხადა, რომ ცოლს ვირთავო. ამ ამბავმა ისე შემაწუხა, რომ მეგონა, თითქო კარგი რამ მომპარეს, ან ვისმეს მიმყიდეს-მეთქი.

ესეც კი ნამდვილია, რომ როცა ერთი მეგობართაგანი ცოლს ირთავს, მეგობრებ შორის ყველაფერი თავდება: ქალის სიყვარულს, სიყვარულს ხორციელს არ შეუძლიან აიტანოს მეგობრული სიყვარული, რომელიც ორი ვაჟი-კაცის შემაერთებელია.

საქმე ის არის, რომ როგორიც უნდა იყოს სიყვარული კაცისა და ქალის შორის, მაინც ისინი დაშორებულნი არიან ჭკუით და გრძნობით; ისინი წარმოადგენენ ორს წინააღმდეგს ბანაკს; იმათ სიყვარულში ერთი სჯობნის და მეორე ემორჩილება. მართლაც, ჩემის აზრით, ვინც ჭკვიანია, იმან ცოლის შერთვის და შვილების გამრავლების მაგივრად, რომელნიც იმას სიბერის დროს დაჰკარგავენ, სჯობს იშოვნოს კეთილი და საიმედო მეგობარი და იცხოვროს იმასთან იმ სვინიდისიერ და გონივრულ ცხოვრებით, რომელიც შეიძლება წარმოსდგეს ორ კაცს შუა.

რუკა აქვს. ეს პირველი შემთხვევა არის, რომ ამ გვარი წიგნი განსაკუთრებით ქართველების შრომით გამოდიოდეს და მით უფრო სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს იგი. წიგნი 25-ამდის ნაბეჭდს თაბახს შეადგენს და რუკათი ერთად 3 მან. ღირს.

⊝⊝⊝ ზოგი ერთს სასტუმროებში, ფარულად ქალაღდის სათამაშო ოთახები არის გახსნილი და მრავალს ახლად ჩამოსულს იტყუებენ და სულს აქეთ, რაცა აქვს, უგებენ. გარდა ამისა ამ ოთახების სამუდამო წევრები, თავიანთ თავს კოველი გარყვნილების და სისაძაგლის ნებას აძლევენ; ამ გვარი სათამაშო სახლები თვით კანონითაც აღკრძალულია, ყველგან სდევნიან და მის გამმართავებს პასუხის გებაში აძლევენ და ჩვენში-კი სრულიად ყურადღებას არავინ აქცევს.

⊝⊝⊝ ხონიდამ გვწერენ, რომ იქ თითქმის ყოველს წრეში უწესოება და უკანონობა ჰხდებათ. ამ ექვსის წლის წინად დაარსებული გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა უწინ მოწილეს 17% აძლევდა და ეხლა არც 4% აძლევს; ამას გარდა ეხლანდელნი გამგებელნი მსურველს თავნსაც აღარ უბრუნებენ, ეუბნებიან, «წადი ქუთაისიდამ ბუხჰალტერი მოიყვანე, ვაანგარიშებინოთ და მაშინ მიიღებო».

მეორე ამბავი: როდესაც ხონში სამასწავლებლო სემინარია დააწესეს, მაშინ საზოგადოებამ ათი-ათასი მან. ფული შესწირა და რვა დესიატინა მიწა. ამ ფულს რამოდენიმე ასი მანათი გადარჩა და ვისიც ხელშია, აღარ უბრუნებს საზოგადოებას. ამბობენ ამავე პირმა ხელი მოითბო ორკლასიანი სასოფლო სასწავლებლის აშენებაზედაც და პოდრიადჩიკებს კი დღემდის თავიანთ ხვედრი არ მიუღიათო.

⊝⊝⊝ განსვენებულის ესტ. მჭედლიძის ძმა. მღვდ. მიხეილ მჭედლიძე გვთხოვს გაზეთით მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ პირთ, რომელთაც ტელეგრამებით, თუ წერილებით მწუხარება გამოაცხადეს მისის ძმის გარდაცვალების გამო.

⊝⊝⊝ სოფ. წევიდამ გვწერენ, რომ მდ. ძირულაზედ გაკეთებული ხიდი ისე ძველია, რომ ამ წინაზედ ერთს გლეხს ხიდიდამ ორი ხარი გადაუვარდა და ორივ დაელუპაო. თუ არ მიაქციეს ყურადღება და ხიდი არ შეაკეთეს, შეიძლება საქონლის მარცხს ადამიანის მარცხიც მოჰყვესო.

იმავე სოფელში თურმე ხალხი ძალიან გაჭირებაშია მწერლის უყოლობის გამო. შარშან მარტამდე მწერალი ჰყოლიათ იქ და დოკუმენტებს სოფლის მოსამართლენი ამოწმებდენ თურმე, ეხლა კი უბრალო თამასუქისათვისაც-კი ყვირილაში უნდა წავიდენ, რომელიც ზოგიერთ სოფლებიდამ 12 ვერსზე იმყოფება და იქ ნოტარიუსთან დაამტკიცებინონ, სადაც შესვლას და საქმის გარიგებას ყველა გლეხი ვერ მოახერხებს.

⊝⊝⊝ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ერთი ინგლისელი ვაჭარი მოსულა საქართველოში და განუზრახავს მატყლის ვაჭრობა დაიწყოს. ეს ამბავი მით უფრო სასიამოვნოა, რომ ამ ვაჭარს განუზრახავს საქმე პირ-და-პირ ცხვრის მეპატრონეებთან დაიჭიროს და მით აალილოს ის მოჩარჩენი, რომელთა მიზეზითაც მატყლის ვაჭრობა დღემდის წესიერად ვერ გავრცელებულა და ცხვრის პატრონებს მეტად მცირე შემოსავალს აძლევს. ამ აზრით ხსენებულს ვაჭარს ერთს ამ საგნის მცოდნე მთიელთანა ჰქონია ლაპარაკი და მათ განუზრახავთ მეცხვარეთა საზოგადოება შეადგინონ და საქმე პირ-და-პირ მათთან უჩარჩებოთ და უშუამავლებოთ დაიჭირონ.

⊝⊝⊝ გამოვიდა ივერია აპრილის და მაისის წიგნი შემდეგის შინაარსით: ა) «მხდალი».—(მოთხრობა გარშინისა); ბ) «ასული ფარაონისა» (რომანი გ. ებერსისა. შემდეგი); გ) ქართული ფული,—წერილი მ. ჯანაშვილისა; დ) თეატრის მნიშვნელობა. კ. ყიფიანისა; ე) ოთხი ჯერ დაუბეჭდელი ლექსი თავ. გ. ორბელიანისა; ვ) «კოლუმბი და მისი ღვაწლი» გ. წყალტუბელისა; ზ) «ზოგოს ჭირიმე». ლექსი თ. რ. ერისთვისა; ჱ) «კოლხიდაში» (მგზავრის შენიშვნები) არტ ლეისტისა, ნათარგმნი პოლშურიდამ; თ) განცხადებანი; და ი) დამატებად წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების ანგარიში 1884-85 წლისა.

---

## წერილი რედაქციისადმი

დროების 106 №-ში არის დაბეჭდილი ს. ფშაველიდამ კორესპონდენცია, რომელიც მხდის მე საზოგადო საქმეების, როგორც მაგალითად სკოლა, დეპო და სხვა ამისთანა მტრად და საზოგადოდ დიდ რაღაც დანაშაულობას მაბრალებს. ამიტომ გთხოვთ ამ ჩემს პასუხს მისცეთ ალაგი თქვენს გაზეთში. კორესპონდენტი მოგვითხრობს, რომ «არიან ჩვენში ისეთნი პირნი, რომელნიც გვემუქრებიან თვალების ახვევას. ამ პირების სალაყბო საგნად სკოლა გამხდარა. ალმოურჩევიათ ერთი მოთავე, სოფლითი სოფლათ დაიარებიან და ხმა მაღლა ჰყვირიან, რომ სკოლა საჭირო არ არისო, ის (უთუოდ სკოლის შენობაზედ იქნება) გავყიდოთ, მასწავლებელი დავითხოვოთ და ამ გვარად შეკრებილი ფულით ეკლესია ავაშენოთო, რომელიც დღეს ძველია და შიგ შესვლა საშიშიაო». და ამ უკულმართის დასის მოთავედ კორესპონდენტი მთვლის მე, მ—ლს ლონგინოზ შერიევს. არ ვიცი, სწორე მოგახსენოთ, საიდან რა მოლანდებია ბატონ კორესპონდენტს ჩემი მტრობა სკოლისადმი. სად, ანუ ვისთან წარმოვსთქვი ეს აზრი, რომ სკოლა და მასწავლებელი საჭირო არ არის მეთქი? ვის და როდის ვურჩიე, რომ სკოლა გავყიდოთ და იმ ფულით ეკლესია ავაშენოთ მეთქი? იმედი მაქვს ამ კითხვებზედ პასუხს მიგებს ბატონი კორესპონდენტი. ეკლესია თუმცა ძველიაო, მოგვითხრობს შემდეგ კორესპონდენტი, მაგრამ ჯერ-ჯერობით არა უშავს-რაო. მე არ ვიცი, რამდენად ბრძანდება ის ბატონი განვითარებული არხიტექტურის საგანში და ის კი ვიცი, რომ ამ საგნის გასარჩევად იყო მოწვეული არხიტექტორი წარსულს წლის ენკენისთვეში და მან ეკლესიაში სიარული საშიშრათა სცნო, რადგანაც შესაძლებელია, რომ ჩამოინგრეს და შიგ მყოფნი ქვეშ მოიტანოს. ამის გამო მთავრობის განკარგულებით დაკეტილია ეკლესია, რომელსაც ბ. კორესპონდენტის აზრით არა სჭირს რა. რაც შეეხება ჩემს სკოლისადმი მტრობას, წაბძანდეს ბ. კორესპონდენტი თიანეთის მაზრაში და იკითხოს, როგორი მტერი ვიყავი მე ან სკოლისა და ან დეპოსი. ვისი მეცადინეობით და თაოსნობით აშენდა არტნის სკოლაში შორიდან მოსიარულე მოსწავლეთათვის სადგური? ვინ მოძებნა ნახევარზედ მეტი ამხანაგები და ფული, როდესაც თიანეთის მაზრაში თ. აბხაზი აფუძნებდა დამზოგველს ამხანაგობასა? ის გახლდათ მ. ლონგინოზ შერიევი, რომელიც ეხლა ფშაველში ყოველს საზოგადო საქმეს მტრად გახდომია. არა, ბატონებო! ესე არ გახლავთ საქმე. ნამდვილს მე მაშინ მოგახსენებთ, როცა კორესპონდენტი ჩემ მიერ მოთხოვნილს პასუხს მომცემს.

მ. ლონგინოზ შერიევი.

---

მაგრამ, ეს როგორც უნდა იყოს, ჩემმა მეგობარმა ჟულიენმა კი შეირთო ცოლად ლამაზი და მალხაზი ქალი; ერთი შეხედვით ცოლს ქმრის თვის სულიც არა შურდა.

ჯერ იმათთან იშვიათად დავდიოდი,—მეშინოდა არ შემეეიწროებინა და ვგრძნობდი, რომ მე იმათ შორის მეტი ვიყავი; მაგრამ ისინი, როგორცა სჩანდა, სცდილობდენ მივეზიდნე: ყოველთვის მპატიჟობდენ და ძალიან ტკბილად მეპყრობოდენ. მეც მივეცი ჩემს თავს ნება იმათ შორის დრო გამეტარებინა. სადილზე მალ-მალე დავიწყე სიარული და უნდა გამოვსტყდე კიდეც, რომ როცა მივიდოდი ხოლმე მათთან, ვფიქრობდი ამელო ჟულიენის მაგალითი.

ჩემი მარტო-ხელობა თან-და-თან მაწუხებდა, ისინი-კი ბედნიერებსა ჰგავდენ. ერთმანეთთან განუშორებელნი და ერთმანეთის პატივის-მცემელნი იყვნენ.

ერთხელ საღამოზე დამპატიჟა მე ჟულიენმა და მეც მივედი.

— ჩემო ძვირფასო მეგობარო,— მითხრა იმან,—მე სადილს უკან თქვენთან მოშორება მომიხდება ერთის საქმის გამო და თერთმეტ საათზე ადრე არა მგონია მოვიდე. 11 საათზე-კი უთუოდ მოვალ; უნდა გაგიტყდე, მე მწადდა, რომ ჩემს მოსვლამდის შენ ბერტასთან დარჩენილიყავ.

ბერტამაც ღიმილით დაუმატა:

— ეგ მაგას-კი არა, მე მომივიდა აზრში თქვენი მოყვანა. მე გამოვართვი ხელი და ვუთხარი:—ეგ ძალიან სასიქადულოა ჩემთვის, და ამ დროს ვიგრძენ, რომ ის სხვანაირად მიჭერდა ხელს.

მე ამას არავითარი მნიშვნელობა არ მივეცი. დავსხედით სადილზე; სადილი გავათავეთ 8 საათზედ და ჟულიენი მაშინვე წავიდა.

წავიდა ის თუ არა, მაშინვე ვიგრძენით მეც და იმის ცოლმაც, რომ ჩვენ წინანდებულად ვერა ვართ; მართალია, უკანასკნელ ხანებში ჩვენ ერთმანეთს დავუახლოვდით, მაგრამ აქამდის ერთად მარტო არა ვყოფილვართ. ჯერ მე დავიწყე ლაპარაკი იმისთანა საგნებზე, რომელთაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ და რომლებზედაც ლაპარაკობენ მხოლოდ მაშინ, როცა სიჩუმისა რცხვენიათ. ის არაფერს არ მიპასუხებდა და ჩემს პირ-და-პირ ბუხრის იქითა გვერდზე თავ-ჩაღუნული იჯდა, თითქო ღრმა ფიქრებში წასულიყო. როცა გამომელია ლაპარაკის საგანი, მეც გავჩუმდი; ვხედავდი, თუ როგორ ძნელია ხან-დის-ხან ლაპარაკის აღძვრა. მე კიდე ვერ ვგრძნობდი ჩემს თავს რიგიანად. ვფიქრობდი, რომ ამ სიჩუმიდგან არაფერი კარგი არ წარმოსდგებოდა.

დიდი ხანი გაგრძელდა ეს სიჩუმე, ბოლოს ბერტამ მითხრა: «შეაგდეთ, ჩემო მეგობარო, ერთი ღერი შეშა კიდევ ბუხარში, ხომ ხედავთ ცეცხლი ჰქრება».

მე დავიხარე, ამოვარჩიე ყველაზე დიდი ღერი და შევდე ბუხარში. ჩვენ კიდევ გავჩუმდით.

რამდენიმე წამის შემდეგ შეშის ცეცხლი მოეკიდა და ისე ღონივრად, რომ სიცხის გამო ცეცხლთან ჯდომა აღარ შეიძლებოდა. ბერტამ შემომხედა განსხვავებული სახით და მითხრა:—აქ ძალიან ცხელა; წავიდეთ დივანზე. ჩვენ გადავსხედით დივანზე. უცებ მომიბრუნდა, შემომხედა პირ-და-პირ სახეში და მითხრა. რას იზამთ თქვენ; ქალი რომ სიყვარულში გაგიტყდეთ.

მე ცოტა შევკრთი ამ კითხვაზედ და ვუთხარი:—მე ჯერ არ მოველი მაგისთანა შემთხვევას და იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება ის ქალი!

ის იმისთანა სიცილს მოჰყვა, რომელიც კაცს აწუხებს და სთქვა:

რა საძაგლები არიან კაცები! იმათ თავშიაც არ მოსდით, რომ ხანდისხან ისინი უფრო გამბედავები და გაგებულები უნდა იყვნენ.

პატარა-ხნის სიჩუმის შემდეგ მკითხა:

— თქვენ როდისმე შეყვარებული იყავით, პოლ?

მე ვუპასუხე მტკიცედ და ალვიარე,

## მ. დავით ღამბაშიძის ჭეშმარიტების დაცემისათვის.

(დასასრული *)

თქვენ მიძახით მე თქვენს უაზრო პასუხში შურიანს. ამაზედ მოგახსენებთ კიდევ ერთს ანდაზას: მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო. ან რა უნდა შემშურდეს თქვენი? ფილოსოფოსი არა ბრძანდებით, მაინც და-მაინც, რომ თქვენი სწავლა-განათლება შემშურდეს; თქვენ რომ «მწყემსში» უქაზებსა, მთავრობის განკარგულებებსა და სხვა პირების სიტყვებს ბეჭდავთ ეს ყველას შეუძლიან და შესახარბებელი თქვენში რაღა რჩება? თქვენი თავმოყვარეობა, თქვენი მედიდურობა, თქვენი ფარისევლობა? არა მ. დავით თქვენში მე შესახარბებელს ვერასფერს ვხედავ და ვგონებ ამაზედ დამეთანხმნენ მკითხველებიც და ყველა ის პირნიც, რომელნიც თქვენ დაახლოებით გიცნობენ. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ შურიანი თქვენ თვითონა ხართ; თქვენ გინდათ რომ თქვენს მეტი კაცი არ იყოს ქვეყანაზედ, თორემ რამ გაიძულათ ჩემი თავს-მჯდომარეობის დროს შენიშნვის დაწერა, თუ არ შურმა,—რატომ მე ერთხანდელივით ტელეგრამა და ან დეპუტაცია არ გამომიგზავნეს მობრძანდით თავს მჯდომარეთაო. რატომ თქვენ არავინ დაგიწერდათ ხოლმე შენიშნვებს თქვენის თავს-მჯდომარეობის დროს. თქვენ რომ ჩემზედ შენიშნვა დაგეწერათ, ამდენი, ვგონებ, ყველამ მოახერხოს ვინც-კი ანაბანა იცის. მე და თქვენ რომ წინა-ყრილობაში ერთად კენჭი გვიყარეს, თქვენ გაგათეთრეს და მე გამაშავეს, მაშინვე დავსწერდი თქვენზედ იმისთანა შენიშნვას, როგორიც თქვენ დასწერეთ ჩემზედ, უმეტესსაც, რომ მე შურიანი ვყოფილიყავ, მაგრამ არა, ჩემში შური არ არის და თქვენ-კი მართლა ამდენს შური გალაპარაკებსთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს თავს-მჯდომარეობას და ერთის სიტყვით საზოგადოებაში პირველობას მილიონში არ გასცვლით და ჩემთვის კი არაფერია, ოღონდა საზოგადოებას ვახსოვდე, რომ მეც მასთან ხმა მაქვს. მე იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ შემდეგ ჩემის თავს-მჯდომარედ ამორჩევისა შურისაგან ერთი კვირის განმავლობაში გემრიელად სადილი არ გიჭამიათ, მაგრამ რა ვქნა ეს ხომ ჩემი ბრალი არ იყო. ალბად ყველგან რწმუნება დაჰკარგეთ. თორემ რად უნდა გწყენოდათ ასე მწარედ ჩემი ამორჩევა. თქვენ ხომ მემკვიდრეობით არა გრგებიათ, მ. დავით, ყოველთვის თავს-მჯდომარეობა. თქვენ არ იცით, რომ ჩვენი ცხოვრება კიბის მსგავსია, ერთი ვინმე რომ ავა კიბეზედ, სულ იქ ხომ არ უნდა იჯდეს, როდისმე უნდა ჩამოვიდეს და ან სულ ერთმა ხომ არ უნდა იაროს ამ კიბეზედ, დაიღალება; ის რომ ჩამოვა, მერე სხვა ავა. და ან-კი რა გაგირიგებიათ თქვენის თავს-მჯდომარეობის დროს? გულით და სულით გთხოვთ ერთი თქვენი რიგიანად და სასარგებლოდ ს—ებისთვის გაკეთებული საქმე დაანახოთ თქვენი «მწყემსის» მკითხველს და მეც მაშინ თავს მოგიხრით და გეტყვით, რომ სწორედ თქვენ, როგორც მაშინ, ისე ახლაც გიჯობნიათ ჩემთვის და სათქმელი მაინც აღარაფერი მექნება.

თქვენ მეძახით, მ. დავით, თქვენს პასუხში მე ჩერჩეტს და რისთვის? ამისთვის, რომ თქვენისთანა პტყელი ენა არა მაქვს. «აზბუკაში» მისწავლია, ბევრი გაიგონე და ცოტა ილაპარაკეო და ისიც მოფიქრებულად. ჩერჩეტი იმას-კი არა ჰქვიან, ვინც ცოტას და კარგა მოფიქრებულად იტყვის; ჩერჩეტი ჰქვიან იმას, ვინც თქვენსავით დაუწყნარებელად და უთავ-ბოლოდ ლაპარაკობს.

«თქვენ თუმცა მიგიღიათ სწავლა სამასწავლებლო სემინარიაში, მაგრამ იმდენი სწავლა ვერ გამოგიტანიათ იქიდამ, რომ ან დასწეროთ რამე, ან ორიოდე სიტყვა წარმოსთქვათ» მეუბნება მ. ღამბაშიძე.

აი, ბატონო, კიდევ მაგალითი მ. ღამბაშიძის თავ-მოყვარეობისა. თქვენ რატომ ჰფიქრობთ, მამაო დავით, რომ თქვენისთანა ოცობოდების დაწერა და თქმა ქართულს ენაზედ გინდა რუსულზედ სხვას აღარავის შეეძლოს; და ან კი რა დაგიწერიათ? ლოცვანები შევადგინეო, თუ მეტყვით, «მამაო ჩვენო», «მიწყალე» «ძილად დაწოლის ლოცვა», «აღდგომისა» და სხვ. ჟამნში სწერია, თქვენ ხომ არ შეგითხზავთ; კარაბადინზედ თუ მიმითითებთ, ისიც დოქტორების შეთხზულია და თქვენი რაღა დარჩა ორიგინალური თხზულება? ჰო, დამავიწყდა, «მწყემსი», მაგრამ იმაშიაც მოსე ჯანაშვილის ისტორიას დასრულება არ მიეცა. და თქვენი საკუთარი შესანიშნავი-კი ვერაფერი ვნახე.

ეკლესიაში სიტყვის წარმოთქმაზედ კი მოგახსენებთ: თქვენს «მწყემსში» თუ სხვა პირების ქადაგებანი და სიტყვები იბეჭდებიან ხოლმე, რატომ ერთი მაინც თქვენი სიტყვის ნიმუში არ დაბეჭდეთ. ამდენი ლანძღვის მაგიერად, თქვენი ქადაგება დაგეწერათ, უკეთესი არ იქნებოდა? იქნება ჩვენც მივჩვეულიყავით და მადლი თქვენ გრგებოდათ... მაგრამ ღამბაშიძეებისთვის ღმერთს მიუცია ნიჭი მარტო ლაპარაკისა და საქმისა-კი რა მოგახსენოთ.

თქვენ მეტყვით: ბ—ჩინობაში გამოცდილება სხვაზედ მეტი მაქვსო; ამ შემთხვევაში ჩემი ნიჭი სხვა ბ—ჩინების ნიჭს აღემატებაო, ეს მართალია და ამ შემთხვევაში-კი გიჯობნებიათ ჩემთვის. ახლა თითონ მიხვდით...

მ. დავით, მე საშინლად გაკვირვებული ვარ, როდესაც ამისთანა ცილის-წამებას ამბობთ, რომ ვითომც, მე ს—ლოებას ხელით ჰყავს და გარედ გამოვეყვანე კრებიდგან: მე - კრებას-კი არ გამოვუყვანივარ, არამედ თქვენ და თქვენმა გულითადმა საყვარელმა ზედამხედველად მყოფმა ბ. ფხაკაძემ, შეატყვეთ რა რომ მე მინდოდა მელაპარაკნა და დაწვრილებით შემეტყობინებინა ს—ლოებისათვის ბ. ფხაკაძის «სკაპენობა», დამასმინეთ, სადაც ჯერ იყო და მეც წინააღმდეგი აღარ გავუხდი მთავრობას და თუმცა ნება მქონდა დავრჩენილიყავ და კიდეც მელაპარაკნა, მაგრამ აღარ ვიკადრე იქ დარჩენა და წამოვედი. მე არა მაქვს თქვენი ხასიათი, რომ თქვენსავით ძალით შევიდე იქ, სადაც ჩემი საქმე არ არის...

ჩემის თავს-მჯდომარეობის დროს უწესოება არასოდეს არ მომხდარაო, ამბობთ თქვენ. ვინ იყო თავს-მჯდომარედ მაშინ, როდესაც ბ ფხაკაძემ სამოცამდის წევრს სიმონ ცერცვაძის მიერ შეწირული ღარიბი მოსწავლეების სასარგებლოდ ერთი დიდი ყუთი რკინის კალმები თავის ყუთიანათ თავზედ გადმოგაბერტყათ და კინაღამ იმ ყუთით ერთ-ერთ ცხვირპირი დაამტვრია. ამის შემდეგ თქვენ უნდა სთქვათ, რომ წესიერებას იცავდით ხოლმე ყრილობაში? ეს იყო თქვენი შეურაცხება, როგორც თავს-მჯდომარისა იმ დროს და მისს მაგიერათ რომ ამ უწესოებისათვის მას კანონიერად მოქცეოდით, თქვენ კრეჭა დაუწყეთ ბ. ფხაკაძეს. აი, უწესოებას ამას ეძახიან.

მართალია, არა ვფიცავ, რომ ვიყავი ძიების ქვეშ, მაგრამ არავითარი სასირცხო საქმისათვის არა ვყოფილვარ, ამიტომ, რომ ბ—ჩინად არც ვყოფილვარ და არცა ვარ... არ მიქნია ქურდობა, ცილი არავისთვის დამიწამებია და საზოგადოდ ცუდს საქმეში არ გავსულვარ. გამოძიება მქონდა მონდობილი მეტრიკის თაობაზედ ერთი ღარიბი დედა-კაცისა და მას

*) იხილე „დროება“ № 145.

---

რომ ვიყავი შეყვარებული და — მერე არა ერთხელ.

— მიამბეთ, თუ შეიძლება, როგორ იყო?—დამიწყო თხოვნა.

მე იმას ვუამბე, რაც კი პირველად თავში მომივიდა.

ის გულ-მოდგინედ ყურს მიგდებდა რაღაც ნაირი ზიზღით და ბოლოს მომიბრუნდა!

— ახ, ღმერთო ჩემო! თქვენ სიყვარულში არაფერი გაგეგებათ! ნამდვილი სიყვარული,— მე ასე მგონია —უნდა იყოს, იმისთანა, რომ გული გახეთქოს, ძარღვები დაასუსტოს, თავი გააბრუოს! ის უნდა იყოს, როგორ გამოვსთქვა—საშიშარი და საზარელი, თითქმის სინიდისის წინააღმდეგი; უნდა იყოს ღვთის წინააღმდეგის მზგავსი! მე მინდა ვსთქვა, რომ ნამდვილმა სიყვარულმა უნდა დაანგრიოს ყოველივე, რაც წინააღმდეგია, დაშალოს ბუნების კანონები და მეგობრული, ძმური კავშირი, მაგრამ სიყვარული მოსვენებული, კანონიერი და უწინააღმდეგო რა სიყვარულია?!

მე ისე დავიკარგე, რომ ვერაფერი ვერ ვუპასუხე. ვიფიქრე კი,—აი როგორია ქალის ლოღიკა მეთქი.

ამ დროს ის დაჯდა წინანდებულად მხრით ბალიშზე დაყუდებული და თავი-კი თითქმის ჩემს მხარზე ედო, ერთი წამის შემდეგ მითხრა:—რა! შეგაშინეთ?

— მე, რასაკვირველია, «არა» ვუთხარ. მაშინ დასდო თავი ჩემს გულზე და წამჩურჩულა, ისე რომ მე არ მიყურებდა: რომ გითხრათ, მე თქვენ მიყვარხართ,—მაშინ? და მანამდის მე ვუპასუხებდი, იმან მომხვია კისერზე ხელი, მიიწია ჩემი თავი და... მაკოცა.

უნდა გაგიტყდეთ, რომ ყოველივე ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ სულ დავიკარგე: «როგორ»—ვფიქრობდი, მე მოვატყუო ჟულიენი? არაფრიდგან შევიქნე იმის ცოლის საყვარელი, სათამაშო ერთი წამის მონდომილებისა ამ უჭკუო და ცრუ დედა-კაცისა!? და ყოველთვის სიცრუე, სიყვარულში თამაშობა, მარტო აღკრძალული ნაყოფისთვის; არა-არაფრის გულისთვის!

ყველა ამ ამბებმა უცებ გამირბინეს თავში, მაგრამ ამავე დროს ჩემი საქმე ძალიან ცუდად იყო, იმიტომ რომ, როცა ლამაზი ქალი თქვენ გკოცნით, ძალიან ძნელია იოსების როლის თამაშობა.

ერთი სიტყვით კიდევ ერთი წამი! გესმისთ! ერთი წამი კიდევ და მეც და, ესე იგი მე-კი არა ისა, ან უკეთა ვთქვათ ჩვენ ვიქნებოდით ორივე «უმანკონი». მაგრამ ამ დროს, ჩემდა-ბედად, მოისმა საოცარი ლაწა-ლუწი, რომელმაც ორივე წამოგვახტუნა.

ის ღერი - შეშა, რომელიც მე შევდე ბუხარში, გადმოვარდა, წააქცია ცეცხლის საჩხრეკი და დაეცა ხალის ახლო, რომელიც უთუოდ დაიწვოდა, თუ მე ამ შემთხვევით გახარებულს, არ შემეგდო ბუხარში შეშა და არ გამექრო ცეცხლი.

მერე რას ჰფიქრობთ! როგორც ეს საქმე გავათავე, ზალის კარები გაიღო და შემოვიდა ჟულიენი, სრულებით ბედნიერი და კმაყოფილი.

— დიდება ღმერთსა,---სთქვა იმან,— ჩემი საქმე უფრო ადრე გათავდა, მინამ მე მეგონა, და აი ეხლა თქვენთანა ვარ.

ეს ღერი-შეშა რომ არ გამჩენოდა—ჩემი საქმე ცუდად იყო!

ამის შემდეგ ამ ქალთან ყური ცქვიტად მეჭირა, მეშინოდა ამისთანა საქმე არ განემეორებინა.

და აი რამდენიმე ხნის უკან ვხედავ, რომ ჟულიენი ცივად მეკიდება; სჩანს იმისი ცოლი სცდილობს მოშალოს ჩვენი მეგობრობა და შთანერგოს სიძულილი. ნელ-ნელა იმან მომაშორა თავისი ქმარი და საქმე იქამდის მივიდა რომ ერთმანეთს აღარა ვხედავდით.

აი მე ცოლის შერთვა გულიდამ რად ამოვიღე. ეხლა თქვენ, მგონი, აღარ გიკვირთ.

პეტრე ყიფიანი.

ს. ყიფიანთ-უბანი.

ჰქონდა მოპირ-და-პირედ მეორე დიდ-მამულიანი და შეძლებიანი სახლი-კაცი; ღარიბი დედა-კაცი უჩიოდა ოლქის სასამართლოში მდიდარს სახლი-კაცს მამულში მონაწილეობას; თუმცა ღარიბმა დედა-კაცმა ახსნა თავისი სიმართლე მაგრამ მდიდარმა შემდეგ მოიყიდა მისი მოწმები და ტყუილი ათქმევინა და მოწმობაც ჩამოართვა მათ ნოტარიუსის თანადასწრებით და წარადგინა ეს მოწმობები, სადაც ჯერ იყო; ამით უნდოდა იმ მდიდარ კაცს ღარიბი დედა-კაცის საჩივარი გაეუქმებინა მამულის შესახებ და ამის მეტი ველარაფერი მოახერხა; მე ყალბობა შემომწამეს, მაგრამ ჩემმა სიმართლემ მიშველა მაშინვე, როგორც კი აუხსენი მთავრობას, თუ საქმე როგორ იყო.

მაგრამ ახლანდელს დროში სიმართლე არაფერი საქონელი ყოფილა; თქვენისთანა კაცი უფრო გაიტანს, მ. ბურთს.

როგორც იმაზედ, თუ მე სად გამითავებია სწავლა და როგორი ატესტატი მაქვს, ისე დანარჩენს თქვენს უზრდელს სიტყვებზედ ლაპარაკს თავს ვანებებ, რადგანაც არა ღირს ამ თქვენ პასუხზედ პასუხის მიცემით შევაწუხოთ მკითხველი; მე მხოლოდ გკითხავთ, ჩემის წერილით ერთ ყველაზედ უფრო შესანიშნავ საგანს გვერდი რად აუარეთ, სახელდობ: ჟურნალების შედგენას? ეს არის პატიოსნება? ჩემს წერილში მე თქვენს კერძო მოქმედებებს არ შევხებივარ, თორემ შეიძლებოდა მე თქვენზედ მომეტებული მეთქვა, მე ვსთქვი მხოლოდ ის, რაც ყრილობას და თქვენს შენიშვნას შეეფერებოდა და თქვენ კი «მწყემსის» ორი ნომერი სულ ტყუილი ლექსებით აგივსიათ.

მე კიდევ ბევრი რამ მქონდა სათქმელი და ვიტყოდი თქვენს პიროვნობაზედ, ბ. მაგრამ მე რაღა უნდა ვსთქვა და ან რა საჭიროა, როდესაც თითონ თქვენვე ლალადებთ თქვენს თავზედ, როდესაც ამბობთ თქვენს უსაფუძვლო პასუხში: მ. ხუციევმა იცოდა კარგად, თუ რა ფასი ექმნებოდა, რა სიხარულით იქნებოდა მიღებული «დროების» რედაქციისაგან მისი პასუხი «მწყემსის» და ჩვენს წინაამდეგ და მართლაც არ მოტყუებულა იგი თავის მოსაზრებაში.

შემდეგ ამისა ჩემი ლაპარაკი იქნება წყლის ნაყვა, რადგან «დროების» რედაქციასაც უცვნიხართ თუ რა პირიც ბრძანდებით, ამისათვის თქვენთან ლაპარაკს სრულიადთავს ვანებებ.

მ. ნიკოლოზ ხუციევი.

ივლისის 3-ს 1885 წ.
ქ. ქუთაისი.

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

ივლისის 8-ს.

**როსტოვი-დონზე.** აქ არსდება ფრანსიელ-რუსული საზოგადოება ვოლგისა და დონის არხით ერთმანეთთან შესაერთებლად. ამ საქმის მოთაურობა უკისრია ინჟინერს დრიუს, რომელიც ამ დღეებში როსტოვზე გაივლის და აქედამ ცარიცინში წავა ადგილის გამოსაკვლევად.

**კოსტრომა.** კინეშმის, ვეტლუგის და ვარნავინის მაზრებში ციმბირის წყლული გაჩნდა.

**შერბურგი.** აქაურმა მერმა გაუმართა რუსეთის და ამერიკის ესკადრების აფიცრებს მშვენიერი სადამო. ამ სადამოზე კარგი შემთხვევა ჰქონდათ გამოეცხადებინათ გულითადი და სულიერი განწყობილება, რომელიც არსებობს სამს მეგობრულ სახელმწიფოთა აფიცრებ შორის.

ივლისის 9-ს.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო რჩევამ დაადგინა: აკრძალულ იქმნას ადგმაცემა იმასთანა კუპონებით, რომელთაც ჯერ თავის ვადა არ მოსვლიათ. თუ ვინმესმე აქვს ადებული ვადა-მოუსვლელი კუპონები და ეს გამოაცხადა, კუპონები ხაზინაში უნდა შეიტანოს და ხაზინიდამ მაშინ მიიღოს, რაც ფული ერგება, როცა კუპონებს ვადა მოუვათ. რა სარგებლიან ქაღალდებსაც კუპონები არა აქვს, გირაოდ არ მიიღება. საკრედიტო დაწესებულებათა, როგორც სახელმწიფო, ისე კერძოთ ადეკრძალებათ ამ ქაღალდების ადებ-მიცემა.

ებრაელთა საქმისათვის დანიშნული კომისია სექტემბრის მეორე ნახევარში გაიხსნება. კომისია, სხვათა შორის, განიხილავს იმ საგანს, რომელიც დასავლეთის მხარეში აღიძრა და შეეხება ებრაელთაგან ვაჭრობას კვირაუქმე დღეობით.

## ბირჟა

პეტერბურგი ივლისის 5.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— — | $23^{13}/_{16}$ $23^{15}/_{16}$ $23^{13}/_{32}$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— — | $202^{1}/_{4}$ 203 $202^{1}/_{2}$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — — | $251^{1}/_{8}$ $251^{1}/_{8}$ $251^{1}/_{4}$ |
| პოლუიმპერიალები — | 8 მ. 28 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები — | 8 მ. 29 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი — | 1 მ. 29 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი— — | $5^{3}/_{4}$ და $6^{3}/_{4}$% |
| 5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — | 98 მ. 87 კ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა — | $97^{1}/_{4}$ მ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა — | 97 მ. გაყ. |
| მეოთხე გამოც. — — | $97^{1}/_{4}$ მ. გაყ. |
| მეხუთე გამოც. — — | 97 მ. 12 კ. გაყ. |
| 5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მან. — — | $95^{3}/_{4}$ მ. გაყ. |
| მეორე გამოც. — — | 95 მ. გაყ. |
| მესამე გამოც. — — | 95 მ. 12 კ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — | $217^{1}/_{4}$ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— | 211 მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — — | $170^{1}/_{2}$ მ. გაყ. |
| თბილისის სათავადაზნაურო-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — — | 27 წ. 89 მ. გამყ. |
| | 43 წ. $88^{3}/_{4}$ მ. გამყ. |
| ქუთაისის სათავადაზნაურო-მამულო ბანკის გირ. ფურც. | 18 წ. 91 მ. გამყ. |
| | 43 წ. 90 მ. გამყ. |

## ცნობანი

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი** ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი,** ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა,** სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადაგოვი,** ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა,** სამშაბათობით.

**ბაგინოვისა,** ორშაბათობით და პარასკევობით.

**სტეფანოვისა,** ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა,** ხუთშაბათობით და კვირაობით.

## რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის

თბილისიდამ ბათუმისაკენ
8 საათზე და 35 წამ. დილით.

ბათუმიდამ თბილისში შემოდის
10 საათ. 25 წამ. ღამით.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზე 55 წამზე ღამით.

ბაქოდამ თბილისში შემოდის
8 საათ. დილით

თბილისიდამ სურამისაკენ
3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

სურამიდამ თბილისში შემოდის
8 საათზედ 24 წამ. დილით.

## ქუთაისში,

**ივანე ნიკოლოზის-ძე მეშკვიშვილის მაღაზიაში** ისყიდება ყოველ-გვარი საქონელი, სხვებთან შედარებით იაფად. მაღაზია იმყოფება ბულვარის პირ-და-პირ საკუთარ შენობაში.

(8—6)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წლის სექტემბრის პირველს

## სამეურნეო სკოლაში

რომელიც გაიხსნა ამ ორის წლის წინად სოფ. წინამძღვრიანთ-კარში, მდებარე დუშეთის მაზრაში, იქმნებიან ახლად მიღებულნი ბაშვები ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. ბაშვები უნდა იყვნენ არა ნაკლებ ათისა და არა უმეტეს თოთხმეტის წლისა. გამოცდა ყმაწვილებისა არ იქმნება, ბაშვების დედ-მამანი არაა გადასახადს არ გადაიხდიან. შეგირდებს ეძლევათ უფასოთ სწავლისათვის საჭირო წიგნები შეგირდები შეისწავლიან საღმრთო სჯულსა, რუსულსა და ქართულს ენებს, არითმეტიკას, მამულის მოვლას, კავკასიის მოკლე გეოგრაფიას, რუსეთის და ევროპიის სახელმწიფოებისას და საზოგადო მიმოხილვას ქვეყნებისას, ელემენტარულ ზოოლოგიას, ბოტანიკას და მინერალოგიას; განსაკუთრებითი ყურადღება იქნება მიქცეული კავკასიის მცენარეებს, მიწის შემუშავებას, ხეხილისა და ვაზის კეთებას, ღვინის დაყენებას, ბოსტნეულობას, ტყის მოვლას, ფუტკრის გაშენებას, სასოფლო მეურნეობას, ანგარიშს, ტეხნოლოგიას, საზოგადო მისახვედრს ჰიგიენას, ჰიმიას, პირუტყვთ მკურნალობას, ხატვას და ხორით გალობას. გარდა ამისა სკოლის შეგირდები შეისწავლიან სახელოსნოში, რომელიც ამ ორის თვის წინად გაიხსნა, მჭედლობას და ჩილინდრობას (სლესრობას); შემდეგში კი დურგლობას და ბოჩკის კეთებას. დედ-მამათ ანუ აპეკუნებმა უნდა წარადგინონ ბაშვები პირველ სეკტემბერში ს. წინამძღვრიანთ-კარში, სადაც თვითონ სკოლა იმყოფება.

მზრუნველი სკოლისა
ი. წინამძღვრიშვილი.

(5—4)

# განცხადებანი

ჟავა მოკვლო

ს. სიუ და კო.

(Ц. 2592).

(46—21)

ამა წლის, ივლისის 1-დამ სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულ ქარვასლაში, გაიხსნება საწყობი

ფაბრიკისა

**ი. და პ. კოატს**

პაისლეიში

**კოჭის ძაფისა**

დაკლებულის ფასებით

**აგენტი ფერდ.მეგნერი**

(6—6)